



სამეცნიერო-პოპულარული გაზეთი. №9(25)
დაკავშირებული, 2001 წელი
ფასი 40 თეთრი

სტატუსი
მნიშვნელობა
რეზონანსი...

მზი, მზი ნული და მზი

ვთქვათ, მე ვარ თოვლის ბაბუა; ამ უსინათლო სამთარში თოვლის ხსენება უფრო შეგაცივებთ, მაგრამ გული უნდა გაგიკეთოთ, სასწაული საჩუქარი ვიქნები თქვენთვის. გასულ წელს ერთი-ორჯერ „ზემოთ“ გადრენა მომიხდა, „პირველთან“ ხანგრძლივი და შინაარსიანი თათბირის შემდეგ გადაწყდა, რომ მე ხურჯინი უნდა ჩამომრთმეოდა, წინა საუკუნეების გადმონაშთად ჩამითვალეს, არც ის ხელოვნური წვერი მამშვენებდა მაინცდამაინც, სამაგიეროდ ისეთი ძალა მომეცა, ისეთი „მოდერნიზებული“ და ცოცხალი ნაწილებით ვარ აწყობილი, გაგიხარიათ, ვისაც მივადგები ნამდვილ ახალ წელს ვაფუთებ. „პირველმა“ დიდსულოვნად შეამცირა შტატები (ამერიკის კი არა), ძველიც მე ვიყნები და ახალიც მოკლედ მეფუფურით გამოვალ... ისმის წესიერი კითხვა:

- რას ნიშნავს შენი „მოდერნიზება“? გიპასუხებთ წესიერად ვთქვათ, მოვედი შენთან. შენ ხომ გაგიხარდება ჩემი დანახვა?! მაგრამ უნდა ვერ მიცნობ; არა უშავს, მე უმაღვე გაგახსენებ დაბნეულს და გეტყვი:

გილოცავ, ჩემო შვილო, ძმაო, დაო, დედაც... ახალი საცხოვრებელი წლის დადგომას. მე მხოლოდ თოვლის ბაბუა არ გეგონოთ, თოვლი რაა, გადნება და წავა, თოვლი მატყუარაა, მე გახლავართ, ჩემო ბატონო, სინათლის ბაბუა, ფულის ბაბუა, სიკეთისა და სიბოხის ბაბუა; ერთად ვარ ეს ყველაფერი, ერთ შტატად. დღეები შემდეგ ამოჯახს, რაც ჩამოთვალე, შეუწყვიტე ექნება; ვერ გაეკარება ვერც მატყუარა პრეზიდენტის თვალი და ვერც ვერაფერს დააკლებენ პარლამენტის ვარპალალო დეპუტატები. ქამონ და თქვლიფონ მათ რაც უნდათ; ნუ შეგეშინდებათ; აგერ ვარ მე და დღეის ამას იქით დანაპირებს ასპროცენტიათი შეგისრულებთ. ოღონდ, აუცილებლად დამირეკეთ ტელეფონით (ზარით არა), მაქვს მშვენიერი და დასამახსოვრებელი ნომერი: ორი, ორი ნული, ორი; 2 00 2. ერთი დარეკვა ღირს ერთი ლარი; ჰა, დიდი დიდი ათჯერ მოგიწიოთ ნომრის აკრეფა; მეთერთმეტეზე გამოვკურცხლავ თქვენსკენ, მაშ ასე, ზოგადად ყველას გილოცავთ ახალი წლის დადგომას, ხოლო პირადად ჩაგეხუტებით შეხვედრისას, აბა, ჰე დარეკეთ: ორი, ორი ნული, ორი, 2 00 2. მე იმედი მომეძვება!!!

გია ხოფერიძე

**მანანა ტაბიკა
ენისა და დიალექტის
ბანსაზღვრისათვის** 2



**პაპლე ბერეპაშვილი
გალაყციტნი თუბიბაში** 3,6


**ოთარ ჩხეიძე
ვუხველოთ
ქართულანოვან
სივრცეს
საქართველოში** 2

**გია ხოფერიძე
ტიკო
დივიდივი**
(არამხატვრული ნოველა) 4

**კულტურის
შესახებ**
ნიკოლოზ ბერლიაშვილი 5

**ახალი დამხმარე სახელმძღვანელო
ქართულ ლიტერატურაში**
ავთანდილ ნიკოლაიშვილი -
ქართული ლიტერატურა. XI კლასი 6

**ნესტან კვიციანი
„მშვენიერ
ქართულში,
ნივრების
დაუნახებელი...“** 3



**ლელა ნოზოვაძე
ევროპელი მისიონერები
და გალექსილი
„ამირან ღარეჯანიანი“** 5



**ზურაბი შვიციანი
ალაქიანობა -
პარადიული პროფანია** 7



**სოკრატეაძე
სიტყვათა პროფილი
ანუ ენის მარკალიტაი** 7

საინჟინერო და დიალექტიკა

სოციალიზაციის პროცესში არსებობს საინჟინერო წარმადობის რაღაც არ არის დამოკიდებული პირობები, რომლებიც აღწერილია ერთი საინჟინერო ენობრივი სიტუაციაში...

მეცნიერული თვალსაზრისით, ენის ერთ-ერთი რეალისტური წარმადობის მხოლოდ თანამედროვე სოციალური დინამიკები და მათ შორის სოციალური დინამიკები...

ენისა და დიალექტის განსაზღვრისათვის

ტელი მოძრაობა და საზოგადოებრივი ყოფის ეკონომიკური მართულობა ხდება მიზეზი ენობრივი ერთობების სოციალური არსის ხშირი ცვლისა და ადამიანის თვითაღქმაში გარკვეული წონასწორობის რღვევისა...

ლაბომა 1966 წელს აღნიშნა, რომ ლინგვისტიკური ვარიანტები ენობრივი ევოლუციის პროცესის მიმართ სინქრონულ ნაკუწებად შეიძლება მივიჩნიოთ...

სპეციალური ლიტერატურაში აღნიშნულა, რომ ის არის ჩვენი მეტყველებაში რეალიზებული, არ არის მხოლოდ ჩვენი მეტყველების შედეგი, არამედ ინდივიდის სოციალური, კულტურული წინამძღვრების (ფონის), სქესის, ასაკის, ცოდნის სარისხის, ჯგუფური ლიალიზების, ტრადიციული მანერებისა და გეოგრაფიული წარმოშობის სერიოზული მიდრეკილების შედეგია.

კიდევ ერთი თვალსაზრისი, რომელიც ერთი და იმავე ენობრივი ვარიანტის მიმართ დიალექტისა და ენის ცნებათა სოციალური სიახლოვის (და ზოგჯერ იგივეობის) სასარგებლოდ მეტყველებს ცნობილი სოციალიზაციის უ. ამონი აღნიშნავს, რომ განსაზღვრულ არეალთა ენების დიალექტები (მათ შორის სტანდარტული ნორმირებული ვარიანტიც) ინახავს მეტად სპეციფიკურ ისტორიულ ნათესაობას (Ammon, U. Language - variety \ standard variety - dialect. In: U. Ammon et al., Vol. 1. 1987) დიალექტებს უწოდებს არანორმირებულ ენობრივ ვარიანტებს, რომლებიც არ ფარავენ დანარჩენ ვარიანტებს იმავე ენისა. ამონი აგრეთვე აღნიშნავს, რომ დიალექტები ფუნქციურად შემოსაზღვრულია თავის არეალში: ა) ისინი არ არიან გამოყენებული წერაში და ბ) მათი გამოყენება რეგიონულად შემოსაზღვრულია. ამ კუთხით დიალექტი სულაც არაა უფრო გეოგრაფიული ცნება, ვიდრე სოციალური. უნდა აღინიშნოს, რომ ენობრივ ვარიანტთა განვითარებაში პარალელურად და უწყვეტად მონაწილეობს გეოგრაფიული და სოციალური

ერთობლიობის პრინციპი, რაც ამ ვარიანტთა მუდმივ კავშირს უზრუნველყოფს. ენა არის მალალი სტრუქტურული ცვლილი, თუმცა ძალზე მოქნილი პროცესებისგან შემდგარი, რომელიც შეიცავს ადამიანის დამოკიდებულებას გარემოსადმი და რომელიც შეიძლება აზრი, სიმბოლოები და ემოციები. მასში რეალიზებულია ენობრივი წარმოდგენებიც და გარეთა სამყაროსადმი შენიჭება და დამოკიდებულებაც. ჩვენ ვხედავთ, რომ ჯგუფებს შიდა მეტყველება (და ზოგჯერ ჯგუფში შერეული გარეთა ჯგუფის მეტყველება) შეიძლება იყოს სიმბოლო ენობრივი თვითკეთილშეიშობისა და კულტურული თანადგომისათვის. ენა ამ მხრივ თვითაღქმის უმთავრესი ნიშნია, როგორც შემსახერხებელი კულტურული მემკვიდრეობისა, ჯგუფური მისწრაფებების გამოხატულება და სხვა.

- დასკვნა რამდენიმე საკითხად შეიძლება ჩამოყალიბდეს:
1. მონათესავე ენების ჯგუფში ენობრივი ვარიანტების კვალიფიციერება ენად და დიალექტად ადვილი არ არის და თანამედროვე ენათმეცნიერებაში ჯერაც არ არის მიკვლეული მკაფიო მასასიათულები, რომლითაც სრულად გამოიჯივება ენა და დიალექტი.
2. ენობრივ ვარიანტთა თავისებურებათა ათვლა ჩვეულებრივ ხდება: ა) ერთმანეთის მიმართ და ბ) სალიტერატურო ენის მიმართ.
3. ხშირად ერთი და იგივე ენობრივი ვარიანტი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ვითარებაში გამოცხადებულია ენად და დიალექტადაც.
4. ამა თუ იმ ენობრივი ვარიანტის ენად გამოცხადებისას ხდება მისი მოწყვეტა მისთვის ჩვეული გარემოდან, რაც ლოგიკურად ითხოვს ახლად აღმოჩენილ ენისათვის ანის შესაფერისი სტატუსის მიღებას, ეს კი ხშირად ადრე ჩამოყალიბებული და ტრადიციით გამაგრებული ენობრივი სიტუაციის მკვეთრი ცვლას იწვევს.
5. ამა თუ იმ ენის დიალექტად კვალიფიციაცია ამ ენის მატარებელი ენობრივი ვარიანტის ახალი, უფრო ფართო ენობრივი ნაწილად გამოცხადებისათვის აშუადგმავ ნიშნავს.
6. ენობრივი ვარიანტისათვის ენის ან დიალექტის კვალიფიციაციის მიზნების შედეგად წარმოქმნილი სიტუაციები პოლიტიკური გარემოსათვის საფუძველი ხდება და ამ ეტაპზე უკვე ადვილია „კვალიფიციაციის“ ჩანაფიქრის წაკითხვა: რა იყო მიზანი, - სამართლიანობის ზეიმი იყო პოლიტიკური აპიკაციები.

მანანა ტაბიძე

კუხველთ ქართულენოვან სივრცეს საქართველოში

ზონის იმპერიაში. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზემოხსენებული ციფრის (189.000 კმ²) მიმართ ზოგიერთი მკვლევარი ერთგვარ დადგენებს გამოთქვამს. XIII საუკუნის დასაწყისში ქართველები დასახლებული ტერიტორია (ე.ი. ქართულენოვანი სივრცე - რა) ანუ ეთნიკური საქართველო კი 150-დან 175 ათას კმ²-მდე შეადგენდა, მოსახლეობის რიცხვი კი დაახლოებით 5 მილიონს უდრიდა. საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დაშლის შემდეგ იწყება მისი ტერიტორიისა და მოსახლეობის შექცევა განსაკუთრებით შემაფოთებულია ის ფაქტი, რომ მე-13 საუკუნის 20-იანი წლების შემდეგ დაწყებული ქართულენოვანი სივრცის შემცირების ტენდენციამ შეუქცევადი ხასიათი მიიღო და მიუღიო საქართველოს ისტორიის მანძილზე სადღესოდ იგი მინიმუმ გახდა. ამ ფონზე ადინდება ქართული ენის - სახელმწიფო ენის დეგრადაციის პროცესი და მას ვერაფერს ვშველით... ეს ისეთ ტრაგიკულ სურათს ჰგავს - კაცს რომ შვილი უკვდება და ვერაფერს ვშველოდეს!

მდე, ქვემო ქართლიდან (5959,2 კმ²) გამოკლებულია გარდაბნის რაიონის ტერიტორია - 1000 კმ²-მდე, ასე რომ, ქართულენოვანი სივრცე, სადაც გვეხმის ენა ქართული, საქართველოში სადღესოდ დაახლოებით 44 ათასი კმ²-ია, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას კიდევ აკლდება საზღვრისპირა ზოლი (საქართველოს საზღვრების მიღიანი სივრცე 2000 კმ-მდე) სადაც ქართულ ენაზე საუბარი კანტიკუნტად თუ ისმის. მარტო რუსეთის ფედერაციისთან საზღვრის სივრცე 819,9 კმ შეადგენს. შემოადინებულ ძალზე შეკვეცილ ქართულენოვან სივრცეში მიმდინარე მოვლენებს დღევანდელი ექსტრემალური პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების გამო დამატება კიდევ ერთი უბედურება - ბავშვების უცხო ენებში მოზადების ბუმი. ხშირად გაიკონტაქტა: იგაკვირი შარავს, კაპას, სახლს, ყველაფერს რაც გამაჩნია და შევიღებ მოკაშადებ უცხო ენაში, რათა საზღვარგარეთ წასვლით უშველონ თავს?! ზოგს რუსი ჰყავს მეუღლე და შეილებიც რუსულ ენაზე მეტყველებენ, ბევრი წვიდა რუსეთში და ბევრიც გასაქმდებოდა შხადა, ჩვენი უბედურება, ტენისაყვლეტი საფიქრალ-საზრუნავი და ადამაფოთებული ჯოჯოტი ფაქტი და პრობლემა. მოჩვენება არ არის, რომ ქართულენოვანი სივრცე და სამეტყველო ენა საფრთხეშია! რით ვუმკურნალოთ ამ ტკივილს? და არის თუ არა ეს „გორილი კვანძი“? მე მინდა ამ ტკივილს და „გორილის კვანძს“ მოეხმოს უხსნოდ, უხსნოდ გადამწყვეტის გონივრული ვარიანტი, რაც მალე დაიწყება იგი, მით უფრო მეტი შანსი რჩება ქართულენოვანი სივრცის გადარჩენისათვის. ჩვენი აზრით, სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლსა თუ სხვა არაქართულენოვან რეგიონებში ქართული მოსახლეობის ჩასახლებისათვის მალდებანება-იძულებას (როგორც ეს ვაკეთა იმის შემდეგ სტალინმა ისტორიული მესხეთის მაგალითზე) ვერ გამოიყენება, ვერც იქაურ არაქართულ მოსახლეობას აიძულებს დატოვონ და გადასახლდნენ, ვთქვათ სომხები - სომხეთში, რუსები - რუსეთში, შერეობიანელები თუ სხვა ეროვნების ხალხები, ვერც იმის გზით განახორციელებს ამ საკითხის მოგვარებას, ვერც ახალგაზრდობის პატრიოტული ალტერნატივი მობილიზაციას მოახდენს ასეთ შეჭრებულ დროში... აქ ქართული მოსახლეობის გაზრდისათვის ბუნებრივი - ობიექტური მექანიზმი უნდა მოიძებნოს. ეს მექანიზმი ორი გზით - ნაკლებად მტკივნეული, მაგრამ ელიტისათვის უფრო მტკივნეული სახით გვესახება: 1) ნაკლებად მტკივნეულ გზად (მექანიზმად) მიგვაჩნია აღნიშნულ რეგიონებში აშენდეს უფრო-კარგად (ისინი, ფაქტობრივად, დაგებულია მიუღრესსებულად და თავიდან ასაშენებელია, წარსულისაგან განსხვავებით მათი კონცენტრირება თბილისსა და დიდ ქალაქებში კი არ უნდა მოხდეს, არამედ პერიფერიებში და ასეთი ეროვნული პერიფერია სწორედ სამცხე-ჯავახეთი, ნაწილობრივ ქვემო ქართლი და სამაჩაბლოა), რომლებიც ბუნებრივად მიიზიდავს მუშახალს, მასში ქართველი კაცს, რომელიც ფიზიკურ შრომას არ თაკილობს, საზღვარგარეთის ქვეყნებშია დღესათვის და ნოსტალია აქვს ენის, ოჯახისა და სამშობლოსადმი. საიმპონებო აფიონებს სამშობლოში, ქართულენოვან სივრცეში შრომას. საწარმოთა განსხვავებანა მიიზიდავს მუშახალს, საჭირო გახდება ინფრასტრუქტურისა და კულტურის ახალი კერების გახსნა, ე.ი. ობიექტურად შეიქმნება პირობები ქართულენოვანი მოსახლეობის სამხრეთში მოგაციისათვის; 2) უფრო ოპტიმალური, მაგრამ ექ. ელიტისათვის არასასურველი (არასახარბიელო, გნებათ მიუღებელი?) უფრო მტკივნეული გზა (მექანიზმი) არის დედაქალაქის ახალციხეში ან ახალქალაქში გადატანა, რომელიც უწინისეულით ვაკოცხლებს ქართულენოვან სივრცეს ზემოაღნიშნულ ექსტრემალურ რეგიონებში. ამ გზის საუკეთესო მაგალითია ყაზახეთი, რომლის მთავრობამ მთელი თავისი აპარატი (სტრუქტურით) პირადი კომპორტული ცხოვრების ინტერესებზე მაღლა დააყენა ეროვნულ-ენობრივი ერთეულები და დედაქალაქის ადმატადან (ხ. დ. 800 მ, ვაშლების ხეივნის ქალაქი, ტიანშანის მთისწინეთში, ჯანსაღი კონტინენტური ჰავითა და მცენარეულობით შექ-

ველა ერთ დედაქალაქზე განცხადება და ბუნების მერ მოცემულ ტერიტორიაზე ცხოვრობს, არსებობს და ვითარდება და თუ იგი რაღაც მიზეზებით კარგავს თავის საარსებო სივრცეს, ცხადია, თვითონაც მცირდება, ქონდება და, აქედან გამომდინარე, საფრთხე ექმნება მის სამეტყველო ენას, მის ფონატიკურ ფორმას. ეს აქ მხედველობაში არა მარტო სხვა ენებიდან ჩვენთვის უცხო ფორმების შემოჭრა და, ბოლოს, საწუხარი ფინალი - ენის ტრანსფორმაცია, თუმცა ესეც დიდხვედრი პრობლემა და სატკივარია. მე მინდა დინამიკურ სექტორში აღვნიშნო მხოლოდ იმ გეოგრაფიული სივრცის შესახებ, რომელიც დასაბამიდან ერთი ქართველ ხალხს, როგორც ჩვენი პლანეტის დამაბინ და გლობალი ისტორიის მქონე ახორციელებს, რამეთუ მთელი ვერსიის მასშტაბით ქართველი კაცის უბედურება, დამნისიეული საცხოვრისი სი მთლიან წყლის მოთხოვნისა. ასე რომ, მრავალი თანამედროვე წყლის, რაც საქართველოს ტერიტორია მკვიდრი ქართული მოსახლეობის არის დასახლებული, სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში საქართველოს არაერთხელ განიცადა უცხოელი დამპყრობისა და დასაბამი, ამიტომ მისი სახელმწიფო და მოსახლეობის რიცხვი ხშირი ცვლილებების განიცდიდა, ასე მაგალითად, ძველი წყლისაღივების პირველი თანამედროვე მუშაობის დასაბამი საქართველოს ტერიტორიის ფართობი 140,4 ათას კმ² შეადგენდა, IV საუკუნეებში 134,2 ათას კმ², IX-X საუკუნეებში - 131 ათას კმ², XI-XIII საუკუნეებში - 181 ათას კმ², XIV-XV საუკუნეებში - 133 ათას კმ², XVI-XVII საუკუნეების დასაწყისისათვის - 81,7 ათას კმ², XVIII საუკუნის დასაწყისისათვის - 61,7 ათას კმ², XIX საუკუნის დასაწყისისათვის - 55,9 ათას კმ², XX საუკუნის დასაწყისისათვის - 44 ათას კმ². ამას გამოაკლდება 2000 კმ², პანკისის ხეობა, პანკისის ხეობის რეგიონი, თუმცა იგი და რჩება საქართველოს ტერიტორიაზე ქართველენოვანი სივრცის ფართობი 44 ათას 767,2 კმ².

„ქართულად ვრჩადი...“

კული გადაიტანა ჩრდილო-დასავლეთით 1000 კმ-ის მოშორებით ნახევარუნძულში მდებარე ქ. ასტანაში ყამირი მიწების რაიონში. აქ 60-იანი წლებიდან ყამირის ათონისათვის დაკავშირებით მოხდა ვეროპული ნაწილიდან ხალხთა მიგრაცია; მიგრანტების უმეტესობა, ცხადია, რუსები იყო, რომლებიც დარჩნენ და დაფუძნდნენ ყაზახეთში, რამაც ყაზახი ეროვნების მცხოვრება ხვედრითი წილი 50%-ზე კვეთი ჩამოიყვანა. ახლა შეიქმნა იმის ობიექტური მექანიზმი, რომ ჩრდილო ყაზახეთში ყაზახურენოვანი მოსახლეობის მატება თანდათან გამოიწვევს რუსი, უკრაინელი თუ ბელორუსი ეროვნებების ყაზახეთიდან მიგრაციულ პროცესს; 1960-იან წლებში ბრაზილიის მთავრობამ მთელი თავისი ელიტით გაიღო „მსხვერპლი“ და დედაქალაქი რიოდეჟანეირის სანაპირო-საეკონომიკო სივრციდან ქვეყნის სიღრმეში უკაცრიელ ტროპიკულ ტყეებში გადაიტანა, ააშენა ახალი ქალაქი ბრაზილია, რომელიც ბრაზილიის ზეგანზეა, რიოდეჟანეირიდან ჩრდილო-დასავლეთით 950 კმ-ის მოშორებით. ამით დასაბამი მისცა გამოუყენებელი ტერიტორიის მდიდარი ბუნებრივი რესურსების ხალხისა და სამშობლოს სამსახურში ობიექტური მექანიზმის გზით ჩაყენების გონივრულ საქმეს. ორივე მაგალითი იმის ნათელი დადასტურებაა, რომ გამოიძებნა არაკონფორტაციული მექანიზმი ენის, ქვეყნისა და ეროვნული ენის სივრცის გასაფართოვლად და სამშობლოს ინტერესების სასიკეთოდ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დასკვნის სახით აღვნიშნოთ: თუ გვინდა საქართველოში ქართულენოვანი სივრცის შეუქცევადი პროცესი შევარჩიოთ, უნდა მოიძებნოს ბუნებრივი მექანიზმი. ამ მხრივ ჩვენ დასახლებული ორი გზა მიგვაჩნია საქართველოში ქართულენოვანი სივრცის გადარჩენის რეალურ და უკანასკნელ შანსად. მოწოდებები და ტროპიკიდან მაღალგარდობიანი პომპეური სიტყვები და განცხადებები ბავშვური კულტურული იტყობადა. კვიტრობით, ამ ტკივილის მორჩენას სხვა ალტერნატივა არ მოეძებნება.

მანანა ტაბიძე

ხელოვნება

შეუძლებელია, გენიალური პოეტის ლექსის ეს სტრიქონები არ მოგა-



უტკბილეს ქართული ვახის მსგავსად დაგრეხილი თუ ჩუქურთმებში ჩაწნული, მოცეკვე ადამიანებით პლასტიურნი... უსაზღვრო დინამიკა ყოველ მათგანში, ზოგიც ერთმანეთს ჩაფსკვნილ-ჩაკვარანხინებულნი, თითქოსდა სუნთქავს თითოეული ქართული ასო და გესმის მღერა მათი კიდევ-ნაირნაირი, ლამაზი-ორნამენტებით დახუნძლულნი, გიცქერენ დახვეწილი ფილიგრანული ნამუშევრები, ინკრუსტირებული, აკადემიური სახით მომზადდები, საიდანაც ხან რუსთაველისა და ხანაც ჩვენი, ძველ ეპითალომწერელთა ხელით შექმნილი წარსული, გარდასულ საუკუნეებთან ერთად, აწმყო და მომავალიც შესანიშნავად იკითხება.

რამდენი რამ გვაქვს მოსაგონარი, რაც უკვე წლებს ვაპყვამწვითვარს... მაინც შერჩენია ფერიც და სურნელიც, მერხზე რომ ტყე დამიხატე, ოთარ! პოდა, იმ ტყეში შესული, ბედი შეგვექნა ერთი. არადა მთლად ასე ხომ არ არის, მინდა, რომ მწამდეს ღმერთი. ტყის ბილიკს გაყოლილი დღემდე, გული ემაწვილურად ტოკავს... თეთრ ხილზე ახლაც ერთად დავდივართ, ტკივილიც ერთნაირი გვაქვს, ოთარ! მადარდებს, ერთხელაც ვერ მოვეფერე შენს გულს რაინდულს, ხედავ? თუმცა და-მშობაში „მიფარხარ“, რა სათქმელია, ნეტავ? კვლავ ისევ ოცნებას მაცოცხლებს, სულ მცირე მიხარია მოკვდავს ვხედავ, რომ ყოველ სუფთა ფურცელზე, სიხარულს მიხატავ, ოთარ! დრო გადის ჩვენს დაუკითხავად, ცხოვრება დულსა და შფოთავს... ლამაზი სიცოცხლე, შენ მაინც, თუ ძმა ხარ, დამიხატე, ოთარ!

ეს ლექსი, ნახევარი ცხოვრების გზა რომ გაიარა, მაშინ მივუძღვენი. ახლა კი ვზივარ და სტატიას ვწერ მასზე. ძნელი ყოფილა წერო უახლოეს ადამიანზე. იგი ხომ ჩემი ყრობის დამაზი წლების უტყუარი მოწმე და თანახიარია. სკოლის მერხის მეგობარია

„მშობა მკვდრის, ნივთის ღაშთქვი...“

და ჩემი ცხრამეტივე, ხოლო ჩემი დის შვიდი წიგნის მხატვარია.



ვიცი, გამინაწყნდება, რომ ვაქო და ვადიდო. ისიც კარგად ვიცი, რომ ბევრი ადამიანი, ვინც კი მას იცნობს, საერთოდ, არა მარტო ჩვენს ქალაქში, არამედ მთელს საქართველოში, ქეცილება მის სიყვარულში, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა: ოთარ ქანდარია სიკეთის, უსაზღვრო სიკეთის მთესველი კაცია. ჭირში და ღვინში გვერდში მდგომელი.

უღალატო მამა და მეგობარი. შესანიშნავი მეუღლე, მამა და მე-მოქმედი, რაიც ერთნაირად საამაყო ყველასათვის. - როგორ ხარ, ოთარ! - როგორც ჩემი ქვეყანაა. - როგორი ადამიანი ვიყავის, ოთარ! - დამახავი ადამიანი. - რა გსურს, ოთარ!

- მე, ჭურჭე, ხომ ერთი კაი ფრაზა მყოფნის დიდხანს. - ეს ვის გაუ-

მარჯოს, ოთარ? - მომფერებელ კაცს! - დიახ!

ოთარი თვითონ მომფერებელი პიროვნებაა და ამიტომაც ალაღად სვამს მომფერებლის სადღეგრძელოს. კარგად იცის გლეხის ფასი. თავის პატარა აივანზე თავის ხელით პიტნა და წიწაკაც კი გაუზარებია...

იგი, ადამიანების გარდა, ყველაფერი ქართულის თავისებურად მომფერებელი კაცია. მათ შორის ქართული ენის, მამიებელი სიტყვის, ფრაზების, რომელიც გზა-გზა ჩაუწერია, აუკრებია სადაც კი ყოფილა და სიყვარულით გვთავაზობს, რომ მოუვაროთ და არ დაგვეკარგოს იგი ქართველებს...

ახლა კი ვზივარ მის სახელოსნოში, სადაც თავზე გვაწვიმს, აწვიმს მისი სპეტაკი სულიდან თეთრ ქათამთა ქალაღზე გადმოსულ ულამაზეს ანბანს, ქართულს...

აწვიმს ქართულ ციხე-კოშკებსა და ეკლესიას, ტაძარ-მონასტრებს და თითქოს ეს წვიმის წვეთები ისევე დაუსრულელები უცხო სიმეფონიაა თვით ბუნებისგან გამეტებული, როგორც ეს დიდი ნიჭი, რაც ამ შემოქმედებელს სუფთა ქალაღებზე და ტილოებზეა შერჩენილი,



რაიც უდიდესი ვახი და საუწყვე ყოველ ვიცი, რომ იგი უკვე წყნარ საუკუნეებაა, ქართულებს, რომაც ვაქვ უფრო მიღწევი ვახი.

უკვე ტყეფერების ხაზი გვეწვევს ტრენებს ფიტნასა და საუხარს. - ეს ღვინოც ალბათ, სკოლიდან მოვიდა უკვე - გვეუბნება წყნარ და მერე სახეყვანის ქორონებული შეილს უბნებსა, - მაშინკო შენი მუთონზე მამიდაა ჩემთან.

- მერე შემობრბის ღვინოც და სიყვარულით მეხვევა ეს ულამაზესი არსება, რომელიც თითქოსდა თვითონ ერთ-ერთი გაცოცხლებული ნაბატი და რომელიმაც ყველაფრის სიღამაზე უკვე ვადაფარა.

- რაზე ფიქრობ, ოთარ?

გადავრჩებით! - ამბობს იმედიანად და მართლაც, მის ნამუშევართა შემფურეს, საიდანაც ამდენი სინათლე, სიკეთე, სიღამაზე და სითბოა გადმოღვრილი, ერთი, რომელსაც მსგავსი ნიჭიერება გამაინია, არ შეიძლება არ გადარჩეს, იცხადავ ამდენი მართლა „მშურა ქართულია, სივრცის დაუნჯებით“.

ნოსტარ პენსი

გონდეთ უკვე, როცა რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრის, ცნობილი გრაფიკოსის, ჩვენი თანაქალაქელის, ოთარ ქანდარიას სახელოსნოს ზღურბლს გადააბიჯებთ და თქვენ-დაუნებურად აღმოჩნდებით იმ ლამაზ, მდიდარ და უცხო სამყაროში, რომელიც ბინას კი არა, ერთ დიდ, მარად ფართოდ გაღებულ სარკმელს უფრო წააგავს, საიდანაც ოთხივე კუთხით, თვით ჭერსა და იატაკზეც კი ყველაფერი მართლა მხოლოდ და მხოლოდ ქართულად იმზირება და ეს შავ-თეთრი ფერებით გამოსახული უამრავი ნამუშევარია, რომლებსაც ადარ ჰყოფნით ამ ბინის ოთხი კედელიც კი, ჩარჩოში მოთავსებული ნახატი თითოეული, ამ ვეება, ღია სარკმიდან გასული, უსაზღვრო სიღამაზე, სინათლე მარადიული და სუნთქვა, უსაზღვროებისაკენ გაფრენილი შემოქმედებაა და, რაც მთავარია, თითოეულ მათგანში მზერაა მხოლოდ და მხოლოდ ქართული...

ცამდე აზიდული ქართული ციხე-კოშკი თუ ყველა ეკლესია, მონასტერი, ტაძარი, რომელიც კი მოუნასკლესია, სუფთა ფურცლებზე უკვდავებად უქცევა... ახლა, ქართული ანბანი! ბეჭა და ბეჭქენ ოპიზრების ნაჩუქურთმევი ქვიდან გადმოსულნი,

გალაკტიონი - 110

გალაკტიონი თუბიბაში



გალაკტიონს, მართალია, მარტოობის რაინდს ეძახდნენ, მაგრამ მისი სტიქია მაინც ხალხთან ყოფნა და თავისი ქვეყნის სხვადასხვა მხარეში მოგზაურობა იყო. ამის დასტურია 1955-56 წლებში მისი მოგზაურობა მშობლიურ რაიონში - ვანში, მესხეთ-ჯავახეთსა და ოკრიბაში. 1956 წლის 21 სექტემბრის ღრუბლიანი დილა იყო. თბილისი-ფოთის მატარებლიდან სადგურ რიონში გადმოვიდა პოეზიის დიდი ქურუმი, გალაკტიონი, პოეტ ვასო გორგაძისა და მთარგმნელ ფატი ნიშნიანიძის თანხლებით. ტყიბულელი მემახტეების მიწვევით გალაკტიონი მემახტეთა ქალაქს სტუმრობდა. სადგურზე მათ დახვდით საზოგადოება „ცოდნის“ ტყიბულის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე, ჟურნალისტი ვასო ცირეკიძე. მსუბუქი მანქანით ჩამოვარეს მუხნარის ტყეს, საფიჩხისა და შეუდგნენ მწვანეყვავილას ალმაროს. გალაკტიონი იხსენებდა მშობლიური ქალაქის სანახებს: ბაგრატს, თვით მწვანეყვავილასა და სხვ. მალე მონამეთაც გამოიარეს და დიდებული გელათის ტაძრის თვალსაჩინოში მოექცნენ. XX საუკუნის სასიქადულო მგოსანი უკვე ოკრიბის მინანქალზე იყო.

ლექსის ჯადოქარი შენს მხარეს ეწვიოს, გვერდზე ჩაგაიაროს და არ შეხვდე და არ ნახო? ეს ხომ იგივე იქნებოდა, აკაკი არ ენახათ რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობის დროს. ეს ისეთი მომენტია, რომელიც აღარასოდეს განმეორდება. ამის შესახებ იცოდა ოკრიბელმა ხალხმა, ახალგაზრდობამ, ინტელიგენციამ და, აი, პირველი „დაბრკოლება“ საპატიო ესკორტისათვის: ორპირის საშუალო სკოლის წინ ტყიბულისაკენ მიმავალი გზა გადაკეტეს თაიგულიანმა მოსწავლეებმა. ეს გაჩერება გათვალისწინებული არ იყო. ხუთსამედე მოსწავლე და მასწავლებელი ფართოდ გაღებული სკოლის ჭიშკრის ორივე მხარეს ჩამწკრივებულიყო და განუწყვეტელი ტაშით მგოსანს სკოლაში ინვევდა. გაბრწყინებული გადმოვიდა გალაკტიონი, მას თანამგზავრებიც მიჰყვნენ. დიდი პოეტი ხელის აწევით მიესალმა ყველას, სტუმრებს მიეგებნენ სკოლის დირექტორი, ირაკლი ხეთერელი, და რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, სეით ჯინჯიხაძე. მოსწავლეები ფიანდაზად უგებდნენ ყვავილებს მგოსანს. სახელდახელო მტრინგი გაიმართა სკოლის ვესტიბიულში. მგოსანს მიესალმა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ცნობილი მეტოდიტი, სეით ჯინჯიხაძე, მოსწავლე ნინელი ხეთერელმა ნაიკითხა გალაკტიონისადმი მიძღვნილი ლექსი, რომელიც წინა დამეს დაწერე, არც გამიძებლია, რომ ლექსი ჩემი იყო, იგი მოსწავლეს მივანერეთ. გალაკტიონს ისე მოწონებია ლექსი, რომ მე-სამე დღეს ტყიბულიდან უკან დაბრუნებულმა პოეტმა ბანკეტზე მეორედ ნაიკითხა მოსწავლეს ის ლექსი. (შემდეგში ლექსი ქუთაისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მეთოდისტმა შ. ჩხაიძემ ვანის

რაიონულ გაზეთში დააბეჭდვინა, სამნუხაროდ, შეცდომებით).

გალაკტიონს!

ეს როგორი დილა არის, ეს როგორი ქარებია? საყვარელი მგოსნის მოსვლას ყველა გაუხარებია! სულმა იგრძნო ხმა ბუღბუღლის, გულმა გახსნა კარებია, პოეზიის ჯადოქარი ასე ძლიერ გვეყვარებია. სიტყვის რაინდს თავის რაში მძლავრად გაუჭუნებია, გრიგალივით რომ მიჰქრინან, ვი ხომ ლურჯა ცხენებია; ქართულ სიტყვის სიყვარულში ღამე გაუთენებია, ვით ავთანდილს უმღერია, გული შეუჯერებია. ეს როგორი დღეობაა, ეს როგორი ფერებია? ეთერ ქალი მხიარულობს, ყელი მოუღერებია. პოეზიის მზე მოსულა, არე დაუმშენებია, სიმღერაში ვათეთრებულს ყველა აუშფურებია. ეს სიმღერა, ეს ბაღისი ჩვენ სად უნდა დაეკითხეთ? სიყვარულო სიბარული გულუმბო ვერ ჩაეკითხეთ. ვინაშამ თუ ვერ დამალავს გულის კარი გაამტკიოს, დღევანდელი უსურვედეს მარადუტრნო გალაკტიონს. გალაკტიონს - ვინაყ ბაღისი სიყვარული მუცამ მამაკაც გალაკტიონს - ჩვენ ბეჭავალ

და სახალხო მოხუც მგოსანს, ქართულ ლექსის დიდებას და პოეზიის არწივს ფრთოსანს, გალაკტიონს - სიტყვის მეფეს, პოეზიის გვირგვინოსანს! მიტინგის წამყვანმა ირ. ხეთერელმა სიტყვა გალაკტიონის მისცა. პოეტმა დიდი მადლობა გადაუხადა მოსწავლეებს, პედაგოგებსა და სკოლის ხელმძღვანელობას ასეთი თბილი შეხვედრისათვის და ბოლოს გაამხილა ამ მხარეში ჩამოსვლის მიზანიც: „ოდესღაც მამაჩემი ტყიბულის რაიონის ერთ-ერთ სოფელში მუშაობდა მასწავლებლად. მე, რა თქმა უნდა, მამაჩემის სიცოცხლეში არ ვყოფილვარ ამ კუთხეში, რადგან იგი ჩემს დაბადებამდე რვა თვით ადრე გარდაიცვალა. მერე კი, როცა ნამოვიხარდე, მინდოდა მენახა ტყიბული, სადაც მამაჩემს უმოღვანია, მაგრამ დღემდე რატომღაც ვერ შევასრულე ეს და ახლა თუნდაც ამიტომ უფრო მხარებს ამ კუთხის ნახვა და თქვენი ასეთი დიდებული შეხვედრა“. შემდეგ პოეტმა ახალგაზრდობაში დანერლი ლექსი ნაიკითხა და მოსწავლეთა ხელნაწერი ფურცალი „ფაილი“ დაათვალიერა შეხვედრით კმაყოფილი პოეტი თავისი ამალით ტყიბულისაკენ ემგზავრა. პოეტის მამა ვასილ ტაბიძე XIX ს. მწერულს მართლაც მუშაობდა მასწავლებლად ტყიბულის რაიონის სოფელ მუხურაში. დისკუსიის დღეებში იგი თავის სოფელ ტყიბულში ფეხით გადვიდოდა ერთ ნამაირში ასეთი მგზავრობის დროს ვასილ ტაბიძე გაიფიქრა და 35 წლის ასაკში ფულტუბის ანთხით გარდაიცვალა. იმ დღეებდან შემოსონ ირი ფიქრით რათა, რომელიც მე გადავიღე პოეტს ნეკრტუბის უფრადიტს ე. ცირეკიძემ ნაილო სურათები კი მხოლოდ გამოვიდა რადგან ფოტოგრაფის ახალი მასწავლი მტრნ

ლიტერატურა

პოეტი ადმოსავლეთ საქართველოდან დასახლებული საქართველოში დაბრუნებული, ის ადრეული საუკუნეების რომელიმე დიდ ცნობილი პოეტის არსებული პორტრეტის რეპროდუქცია... „ვეფხისტყაოსნის“ ავტორია (დონ ქრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და აბლომი საქართველოს შესახებ, 1977, გვ. 110).

უნდა აღინიშნოს, რომ ქართული სახანო დელისთვის უცხო არ ყოფილა ის ფაქტი, როცა მამის სახელი გერმანის ფუნქციას ქართულად. დოკუმენტური მასალათი ცნობილია, რომ სულხანი ავთანდილის ძე აბდუნად, ლოგიკურია პოეტის მოხსენიება ავთანდილაშვილად. ბევრთაგანს შეიძლება რომ ბევრთაგანგვიშლის გვარს აგარუნდნენ შემდეგში. თუ სულხანის პორტრეტი, როგორც ბ. ვიორგაძე თვლის, დასავლეთ საქართველოშია შესრულებული, ხოლო კასტელი ნაგურებიდან ხატავდა, მაშინ საეარაუღოა, რომ სულხანი მეფის დაგავებით დიპლომატიური მისიითი იმყოფებოდა ლევან დადიანის კარზე, სადაც იმხანად კასტელი მოღვაწეობდა. სულხანს ჰქონდა საინგურესო ბიოგრაფია, რომლის ჩაწერაც საქართველოში მოხდა. სულხანის განათლების შესახებ მისი თანამედროვენი მსჯელობენ: „ყოფნა მას ჰქონდა ბევრი რამ“ (არჩილი). პოემის კითხვისას ნათელია, რომ სულხანი პოეზიაში საკმაოდ გააჩრდილებულია.

სადავო საკითხს ნათელს მოპოვდა კასტელის ის გომი, რომელშიც სულხან ავთანდილაშვილის ბიოგრაფიაზეა საუბარი, მაგრამ ეს ნაწილი დაკარგულია, თანაც სამუდამოდ, რადგან კასტელს ის მღვაში ჩაუვარდა.

ვეროპელ მისიონერთა მოღვაწეობა ბედნიერი აღმოჩნდა გალექსილი „ამირანდარეჯანიანისთვის“, ბერნარდო ნეაპოლელმა შემოგვინახა პოემის რამდენიმე სტროფი, რომელიც მანამდე დაკარგულად ითვლებოდა, ხოლო ქრისტოფორო დე კასტელმა (საეარაუღო) - სულხან თანამედროვენი პორტრეტი.

ლელა ნიშნაძე

კათოლიკური მისიის ისტორია საქართველოში XIII საუკუნიდან, რუსუდან დედოფლის დროიდან იწყება, ჩვენში მოდიან და ერთმანეთს ცვლიან სხვადასხვა ორდენის მისიონერები, რომლებიც თავიანთ მემკარებასა და შრომებში საგანგებო ინტერესს იხევენ საქართველოს მიმართ. რომში მოღვაწე კათოლიკე მღვდელი მიქელ თამარაშვილის ამრითი, ე.წ. აღორძინების ხანის კულტურისა და მწერლობის განვითარება გამოწვეული იყო, თუ მოდიანად არა, მნიშვნელოვნად მაინც, კათოლიკე მისიონერთა მოღვაწეობით საქართველოში.

XVII საუკუნის 60-70-იან წლებში სულხან და ბევრთაგან თანამედროვენი (მანშიან-მარგარიტოშვილები) გალექსეს მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანი“. ეს პოემა გარკვეულწილად უკავშირდება ევროპულ მისიონერთა მოღვაწეობას. პოემა ერთადერთი XVIII საუკუნის დასაწყისის ხელნაწერითაა შემონახული, რომელიც დამიანებულია. 965-ე სტროფის შემდეგ გექსეს აკლია „თილისმათა ამბავის“ დაახლოებით სამი მეოთხედი და მომდევნო თავის დასაწყისი. ნეაპოლის მახლობლად მდებარე „გორე დელ გრეოს“ კაპუცინების მონასტრის XVII საუკუნის ცნობილი მისიონერის ბერნარდოს არქივში აღმოჩნდა ქართული ლექსის რამდენიმე სტროფი, რომელიც სწორედ შემოთ მოყოლილი ამბის შემცველია. მ. თოდუამ დაადგინა, რომ იგი თანამედროვენი პოემის სწორედ ჩვენთვის საინტერესო ნაწილია, რასაც ადასტურებს ისიც, რომ გარდა დღემდე უცნობი სტროფებისა, დასაწყისში მას შემოუნახავს ჩვენთვის ცნობილი 17 გაეპი პოემისა.

ბერნარდო ნეაპოლელი საქართველოს ორჯერ ეწვია 1661 და 1670 წლებში შეიდკაპუცინ მისიონერთან ერთად, რომელთა მიმანი საქართველოში კათოლიკობის გავრცელება იყო. ბერნარდოს ჩვენი პოემის ნაწყვეტი 1670-1679 წლებში საქართველოში ყოფნისას მოუპოვებია.

1957 წელს საქართველოს მეცნიერებთა აკადემიის ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ გაცვლის წესით ნეაპოლის ცენტრალური ნაციონალური ბიბლიოთეკიდან მიიღო მიკროფირი, რომელშიც აღმოჩნდა 12 ზღაპარი და 1 პოემის ნაწყვეტი. სამასი წლის განმავ-

ლობაში იგალიამი დაცული ქართველი ხალხის მხატვრული შემოქმედების თვალახინო ძეგლები ხელმისაწვდომი ვახდა მკითხველი სამოგალობისა და სპეციალისტებისათვის.

იგალიელი მისიონერის და მხატვრის ქრისტოფორო დე კასტელის აბლომი შემო-

ვეროპელი მისიონერები და გალექსილი „ამირანდარეჯანიანი“

ნახულია პორტრეტი სულხან ავთანდილაშვილისა (ანუ ავთანდილის ძისა). პირველი, ვინც აღნიშნა, რომ ეს კასტელის პორტრეტზე გამოსახული პოეტი შეიძლება იყოს „ამირანდარეჯანიანი“ გამლექსავი სულხანი, ვახლდათ პ. ინგოროყვა (პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, I, 1963, გვ. 250).

კასტელის პორტრეტზე გამოსახული პოეტის ვინაობას შეეხო ს. კაკაბაძე, მაგრამ პ. ინგოროყვასგან განსხვავებით, მას ვერ ვადასტურებთ, ვინ უნდა იყოს გამოსახული პორტრეტზე - სულხანი თუ შოთა? (ს. კაკაბაძე, რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, 1966, გვ. 94-95).

რას წარმოადგენს აღნიშნული პორტრეტი?

კასტელი 1632-1658 წლებში მოღვაწეობდა საქართველოში; მან 600-მდე ნახაგი დაგვიტოვა ქართულ თემაზე, რომლებიც უძვირფასეს მასალას შეიცავს XVII საუკუნის პირველი ნახევრის დასავლეთ საქართველოს ისტორიის შესასწავლად. ავგორო ხატავდა და წერდა მხოლოდ იმას, რაც საერთოდ ჰქონდა ნახაგი.

სულხან ავთანდილისშვილის სურათზე კას-

ტელს გაუკეთებია მინაწერები: „საქართველოში დაბადებული ქართული მოდგმის დიდ ნიჭიერი სულხანი. იბერია-კოლხეთის სამეფოში განთქმული პოეტი სულხან ავთანდილაშვილი. ნახე მისი ისტორია, ე.ი. 1. პოეტი ქართველია; 2. პორტრეტზე აღნიშნული სულხანი ნიჭიერი და სახელმწიფო პოეტი; 3. ის ავთანდილის ძეა; 4. მას იმდენად საინტერესო ბიოგრაფია ჰქონია, რომ მხატვარს საჭიროდ მიუჩნევია მისი ჩაწერა.

ბ. ვიორგაძე აღნიშნავს, რომ კასტელს ეს სურათი და თითქმის ყველა ნახაგი შეუსრულებია იმერეთში, გურიაში, აფხაზეთში, სვანეთსა და სამეგრელოში, რასაც ადასტურებს ამ კუთხეებისთვის დამახასიათებელი ჩაქმულობა. ამ შემთხვევაში სულხან ავთანდილაშვილის სურათი გამონაკლისია. აქ ყურადღებას იქცევს ქართული ყურთმაჯიანი კაბა, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოსთვისაა ნიშანდობლივი და ისეთივე ზომის და მოყვანილობის დიდი წოწლია ქუდი, რომელსაც ვიორგი სააკაძე აგარებდა. მუთაქაძე ძირს ვეხმორთხმული ადომა და გადამიღ შეკურა ქალაქში ფრთით წერა გვაგონებს გრადციით შემონახულ შოთა რუსთაველის ერთადერთი გავრცელებულ პორტრეტს... რადგან ეს სურათი დასავლეთ საქართველოშია დასახლული და თავისი ჩაქმულობით, ადომისა და წერის პოზით ავგლომირზე პოეტი არა ჰგავს, არამედ არ არის თეიმურაზის მრავალრიცხოვანი ამალის რომელიმე უცნობი



ჩრეულთა ნაზრები

საზოგადოებრივ ცხოვრებაში სულიერი პრიმატი კულტურას ეკუთვნის. საზოგადოების მიზნები ხორციელდება არა პოლიტიკასა და ეკონომიკაში, არამედ კულტურაში და საზოგადოების ღირებულება და ღირსება იზომება კულტურის მაღალი დონით.

დემოკრატიზაციის გამო კულტურა თავისი ხარისხითა და ღირებულებით ყველგან ქვეითდება. იგი ხდება უფრო იაფფასიანი, ხელმისაწვდომი, ფართოდ განვითარებული, უფრო დაქვეითებული თავის ხარისხში, უღამაზო, სტილის მოკლებული. კულტურა გადადის ცივილიზაციაში. დემოკრატიას ვარდაუვალად მივყავართ ცივილიზაციისაკენ. კულტურის უდიდესი აღმავლობები მიეკუთვნება წარსულს და არა ჩვენს ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ საუკუნეს, რომელიც უფრო მეტად დაინტერესებულია გამთანბრებულ პროცესით... კულტურა და ცივილიზაცია ერთი და იგივე არაა. კულტურა წარმოიქმნა კულტიდან. მისი სათავეები საკრალურია. იგი ტაძრის ირგვლივ ჩაისახა და ორგანულად თავიდანვე დაკავშირებული იყო რელიგიურ ცხოვრებასთან. ასე იყო დიდ უძველეს კულტურებში: ბრინჯივ კულტურაში, შუასაუკუნოებრივ კულტურაში, ადრეული აღორძინების კულტურაში. კულტურა - კეთილშობილური წარმოშობისაა. მას გადაეცა კულტის იერარქიული ხასიათი. კულტურას რელიგიური საფუძვლები აქვს. ეს დადგენილი უნდა ჩაითვალოს თვით მეცნიერულ-მედიკალური თვალსაზრისით. კულტურა თავისი ბუნებით სიმბოლურია. თავისი სიმბოლიზმი მან საკულტო სიმბოლიკიდან მიიღო. კულტურაში რეალისტურად და არა სიმბოლურად გამოსახულია სულიერი ცხოვრება. კულტურის ყველა მიღწევა თავისი ბუნებით სიმბოლურია. მასში მოცემულია ყოველთვის არა საბოლოო მიღწევები, არამედ მხოლოდ მისი სიმბოლური ნიშნები. ასეთივე კულტის ბუნებაა, რომელიც განხორციელებულ დღეობრივ საიდუმლოებათა მიხედვითაც. ცივილიზაციას არ განაზიანებენ კეთილშობილური წარმოშობა. ცივილიზაციას ყოველთვის parvenu (მეტყარა, ფრანგ.) გარეგნობა აქვს. მასში არაა კულტის სიმბოლიკისთან კავშირი. მისი წარმოშობა ამქვეყნიურია. იგი დაიბადა

არა ტაძარსა და კულტში, არამედ ბუნებასთან ადამიანის ბრძოლაში. კულტურა ყოველთვის ზვიდან ქვეით მოდის, მისი გზა არის-ტოკრატულია. ცივილიზაცია ქვეიდან ზეით მოდის, გზა მისი ბურჟუაზიული და დემოკრატიულია. კულტურა ღრმად ინდივიდუალური და განუყოფელი მოვლენაა. ცივილიზაცია კი საერთო და ყველგან განმარტებული მოვლენაა. ყველა ხალხის გადასვლას ბარბაროსობიდან ცივილიზაციაზე აქვს საერთო ნიშნები და ეს ნიშნები უპირატესად მატერიული ურია, როგორც, მაგალითად, რკინის გამოყენება და ა.შ.

ძველი ხალხების კულტურა კი თვით საწყისი საფეხურიდან მეტად თავისებური და განუყოფელი ინდივიდუალურია, როგორც კულტურა ეგვიპტის, შამილონის, სპარსეთისა და ა.შ. კულტურას აქვს სული. ცივილიზაციას აქვს მხოლოდ მეთოდები და იარაღი.

ყოველნაირი ჰემიკრიტი კულტურის კეთილშობილება განისაზღვრება იმით, რომ კულტურა არის წინაპართა კულტი, თაყვანისცემა საფლავებისა და ძეგლებისადმი, შეილების მამებთან კავშირი. კულტურა დაფუძნებულია წმინდა თქმულებებზე და რაც უფრო ძველია იგი, მით უფრო მნიშვნელოვანი და მშვენიერი. კულტურა ყოველთვის ამყოფებს თავისი ძველი წარმოშობით, დიად წარსულთან უწყვეტი კავშირით და მასზე განისვენებს განსაკუთრებული სახის ღვთიური ძველი. კულტურა, მსგავსად ეკლესიისა, ყველაზე მეტად აფასებს თავის მიქციდრობითობას. მასში არ არის სიხეპრე, უპატრიცეული დამოკიდებულება მამათა საფლავებისადმი. მეტისმეტად ახალ, გადმოცემულ კულტურას, არა აქვს თქმულებები და ეწინააღმდეგება თავისი ასეთი მდგომარეობა. ამას ვერ ვიტყვი ცივილიზაციაზე. ცივილიზაცია აფასებს თავის ახალ წარმოშობას, იგი არ ეძებს ძველ და ღრმად სათავეებს. იგი დღევანდელი გამოგონებით ამყოფებს. მას არ შეეძლება წინაპრები. მას არ უყვარს საფლავები. ცივილიზაციას ყოველთვის ისეთი სახე აქვს, თითქმის იგი დღეს და გუშინ წარმოიშვა. მასში ყველაფერი ახალია, ყველაფერი დღევანდელი დღის მოხერხებულ პირობებთანაა შეგუებული. კულტურაში

წარმოებს მარადიულობის დიდი ბრძოლა დროსთან, დიდი წინააღმდეგობა დროის დამანგრეველ ძალასთან. კულტურა სიკვდილს ებრძვის, თუმცა მასზე რეალური გამარჯვებისათვის უძლიერა. მისთვის ძვირფასია უკვდავობა, განუწყვეტლობა, მემკვიდრეობითობა, კულტურული ქმნილებებისა და ძეგლების სიმტკიცე. კულტურა, რომელიც არის რელიგიური სიღრმე, ყოველთვის მისწრაფებს მკვდრებით აღდგომისაკენ. ამ მხრივ რელიგიური კულ-

კულტურის შესახებ

ნიკოლოზ ბერძენაძე

კულტურის უდიდეს ნიმუშს წარმოადგენს ძველი ეგვიპტის კულტურა. იგი მთლიანად დაფუძნებული იყო მარადიულობის წყურვილზე, ადდომის წყურვილზე, მთლიანად სიკვდილთან ბრძოლაში იყო. და ეგვიპტის პირამიდებმა გადაიტანეს ათასწლეულები და შემორჩინეს ჩვენს დრომდე თანამედროვე ცივილიზაცია სწორედ რომ არ აშენებს პირამიდებს და არ ზრუნავს იმისათვის, რათა მის ძეგლებს ათასწლეულის სიმტკიცე ჰქონდეს. თანამედროვე ცივილიზაციაში ყველაფერი სწავარაძეა. ცივილიზაცია, კულტურისაგან განსხვავებით, არ ებრძვის სიკვდილს, არ სურს მარადიულობა. იგი არა მხოლოდ ურიგდება დროის მომკვდინებელ ძალას, არამედ ამ მომკვდინებელი დროით ღვარზე აფუძნებს თავის ყველა წარმატებას და მონაბოვარს. ცივილიზაცია, იგივეს რა მიცვალბულებს, ძალზე სააზურად და მხიარულად მოეწონება მისაფლავებულ ცივილიზაციას ფუტურისტულია. ცივილიზაციაში არის სიხეპრე, გაყოფილებული parvenu. ეს სიხეპრე გადაეცემა კულტურასაც, რომელსაც სურს იყოს საფუძვლით არარელიგიური.

კულტურაში ორი საწყისი მოქმედება - კონსერვატიული, მიმორთხმული წარსულისაკენ და მასთან მემკვიდრეობით კავშირის დამტკიცება, და შემოქმედებითი, მიმართული მომავლისაკენ და ახალ დირებულებათა შემქმნელი. მაგრამ კულტურაში არ შეიძლება მოქმედდეს რელიგიური დამანგრეველი საწყისი რელიგიური საწყისი არსებითად მტრულად და განსწობილი კულტურისადმი, ანტიკულტურულია. კულტურა წარმოადგენს იერარქიული მემკვიდრეობის გარეშე, რელიგიური საწყისი კი მტრულად და განსწობილი ყოველგვარი იერარქიისადმი და მიმართული ხარისხთა ნგრევისაკენ. რელიგიური სულს შეიარაღებს ცივილიზაციით, მისსკუთრის მისი უტილიტარული მიღწევები, მაგრამ არ სურს კულტურა, მას არ ესაჭიროება კულტურა... საერთოდ, შეუძლებელია ახალი კულტურის შექმნა, თუკი არ გაქვს არავითარი მემკვიდრეობითი კავშირი წარსულ კულტურასთან, არ გაქვს არავითარი თქმულება, თაყვანისცემა წინაპრებისადმი. ასეთი ახალი რელიგიური კულტურის იდეა არის contradictio in adjecto. (წინააღმდეგობა განსაზღვრებაში, ლათ.).

დემოკრატიული გზით არ შეიძლება მტერიება და ახლებება, არ იქმნება ფილოსოფია და პოეზია, არ ჩნდება წინასწარმეტყველნი და მოციქულები. კულტურის არისტოკრატიულ წყაროთა გადაკეტვა არის ყოველგვარი წყაროს დაშრება. სულიერი არსებობა მოგვიწევს წარსულის მკვდარი კამიტალით, ამ წარსულის უარყოფითა და სიუღელისა და თვით კულტურის წყაროები წარსულში სულ უფრო და უფრო იკარგება, მათგან მოწყვეტა სულ სტილის ვეროპული კულტურა დაკავშირებული ანტიკურ თქმულებებთან. ახლანდელი კულტურა არის სწორედ ანტიკური ბრძოლა-რომაული კულტურა და არანაირი სხვა კულტურა ვერაში არ არსებობს.

კულტურის შემოდგომა - ყველაზე მშვენიერი და ფაქიზი სახაა. კულტურის ნაგვიანვე ყვეილები - მისი უნატიდესი ყვეილებია. ამ დროს კულტურაში მიიღწევა მშვენიერების უდიდესი სიმბოლიკე და უდიდესი სიითულე დაცვული კულტურის გაორება გადაშლის მრავალს, დაფარულს უფრო აყვავებული და უკანასკლი კულტურული გამოქმნილების კულტურის დასვეწილი დეკადანსის თქმუები არცთუ უნაყოფია, როგორც ეს უთი მტხდვით წარმოგვიდგება: მათში არის თავისებური დადებითი გამოცხადება. აყვავებული ორგანული მთლიანობა არ იძლევა წინააღმდეგობათა ცოდნას, იგი იმყოფება მართლობაში და ბუნებრივად არ იცის სხვა კულტურის მეტისმეტად დიდი გართულებები და გაუაქიზება არღვევს ამ მთლიანობას, გამომჟავს წინააღმდეგობათა ბუნებრივ უკვლავლობიდან. ხელოვნებაში, ფილოსოფიურ ანარქიაში, მისტიკურ განწყობულებაში გაბნეება ორი პოლარული უფსკრული შეიძლება უფრო გამახვილებული ცოდნა სიკვითისა და ბიოლოგიის. მაგრამ სიკვდილის ნუგას მისი მოწყობისა და განვითარებისათვის არა აქვს წინანდელი მთლიანობა ჩნდება ფაქიზი დღევანდელი უკვე ადარ არის რწმენა და ქვეყნაზე კულტურის სიმტკიცეში აყვავებული კულტურის სრულყოფილებისა და მშვენიერების მისაწვდომობისა. კულტურა მანგანად გადაიწევა მასში წარმოიქმნება მასლა ახალი საბარათიოები მადიდეს მალე გამოცხადება ახალი მოვლა.

კულტურაში ყოველთვის მოქმედებს ორი საწყისი - კლასიკური და რომანტიკული სხვადასხვა გამოქმნილები მან ერთი და მან მეორე საწყისი და ქმნიდ კულტურის გამტკიცებულ სტილს საყრდენად ქმნის კლასიკური კულტურის უძველესი ნაშთებს. მაგრამ სწორედ საყრდენობაზე იყო რომანტიკული კულტურის ნაგებ მძღვე ამნ უარყოფი შეუძლებელია კლასიკური და რომანტიკული გადაღობის გამოქმნილები. თანამედროვე კლასიკური კულტურა ანტიკური კულტურის სრულყოფილს დეკადანსზე იყო მანგანუკან გაღწევისას არღვევს მკაცრი ფარმბაცის მასში არ ცდილობს უსხვეური მოვით რომანტიკული კულტურის ტან-

